



საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან
საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

11 / 01 2017 წ.

თბილისი

№ 84814

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და
პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების
შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 36-ე მუხლისა და 61-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 24 დეკემბრის №975 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის წესდების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს აკადემიის იურიდიული განყოფილების უფროსი შორენა გაბიჩვაძე (შემდგომში - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი).

2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირისათვის სავალდებულოა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების შესრულება, ასევე შსს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველოს რეკომენდაციების/წინადადებების გათვალისწინება და მათი მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

3. აკადემიაში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი გრიგოლ ჩხაიძე (შემდგომში - საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი).

4. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფის მიზნით დაევალოს:

ა) საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს, ყოველი წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს ბრძანების დანართით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის თავმოყრა და პროაქტიულად გამოქვეყნება საკუთარ (შესაბამის) ელექტრონულ რესურსზე იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე, ასევე საკუთარ (შესაბამის) ელექტრონულ რესურსზე შექმნას (უზრუნველყოს) საჯარო ინფორმაციის გვერდი და ამ ბრძანების დანართის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია განათავსოს საჯარო ინფორმაციის გვერდზე;

ბ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე უზრუნველყოს ბრძანების დანართის 2.4 და 2.5 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის მიწოდება;

გ) აკადემიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე უზრუნველყოს ბრძანების დანართის 1.1, 1.5, 1.6, 2.1, 3.1 და 3.3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის მიწოდება;

დ) აკადემიის საფინანსო სამსახურის უფროსს, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე უზრუნველყოს ბრძანების დანართის მე-4 და მე-5 ნაწილებით და 7.1 და 7.2 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის მიწოდება;

ე) აკადემიის განვითარებისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსს, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე უზრუნველყოს ბრძანების დანართის 1.3 და 1.4 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის მიწოდება;

ვ) აკადემიის იურიდიული განყოფილების უფროს ინსპექტორს, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე უზრუნველყოს ბრძანების დანართის 1.2, 2.2, 2.3, 3.2, 6.1 და 6.2 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის მიწოდება.

5. დაევალოს ბრძანების მე-4 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, ბრძანების დანართის შესაბამისად ინფორმაციის ცვლილებების შემთხვევაში, ცვლილებებიდან 7 დღის ვადაში მიაწოდონ განახლებული ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს.

6. დაევალოს ბრძანების მე-4 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, ბრძანების დანართის შესაბამისად კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია კვარტლის დამთავრებისთანავე მიაწოდონ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს.

7. დაევალოს ბრძანების მე-4 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს ბრძანების დანართის შესაბამისად ყოველწლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია წლის დამთავრებიდან ერთი თვის ვადაში მიაწოდონ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს.

8. დაევალოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს, ბრძანების მე-5 პუნქტის შესაბამისად მიწოდებული ინფორმაცია გამოაქვეყნოს მიწოდებიდან 3 დღის ვადაში, ხოლო ბრძანების მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად

მიწოდებული ინფორმაცია გამოაქვეყნოს ბრძანების შენიშვნებით გათვალისწინებულ ვადებში.

9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რექტორის 2013 წლის 7 ნოემბრის N477 ბრძანება.

10. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.

11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი

გამოყენებულია ელექტრონული
ხელმოწერა

გივი მიქანაძე

----- 2017წ. ბრძანებით

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა

1. ზოგადი ინფორმაცია აკადემიის შესახებ		
№	ინფორმაციის დასახელება	განახლების ვადები
1.1	აკადემიის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.2	აკადემიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.3	აკადემიის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად
1.4	აკადემიის მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.5	აკადემიის რექტორისა და პრორექტორების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
1.6	აკადემიის მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის (ან სხვა მსგავსი ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის/პირის) ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი.	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2. საჯარო ინფორმაციის გვერდი		
2.1	აკადემიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.2	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.3	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
2.4	აკადემიის მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად
2.5	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	ქვეყნდება კვარტალურად
3. ინფორმაცია აკადემიის საკადრო უზრუნველყოფის შესახებ		

3.1	აკადემიაში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
3.2	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს აკადემიაში კონკურსის ჩატარების წესებს	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
3.3	აკადემიაში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში	ქვეყნდება კვარტალურად
4. ინფორმაცია აკადემიის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ		
4.1	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	ქვეყნდება კვარტალურად
4.2	აკადემიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით	ქვეყნდება კვარტალურად
4.3	ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	ქვეყნდება კვარტალურად
4.4	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	ქვეყნდება კვარტალურად
5. ინფორმაცია აკადემიის დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ		
5.1	აკადემიის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები	ქვეყნდება კვარტალურად
5.2	ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)	ქვეყნდება კვარტალურად და ყოველწლიურად
5.3	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	ქვეყნდება კვარტალურად
5.4	ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით)	ქვეყნდება კვარტალურად
5.5	აკადემიის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.6	ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.7	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.8	აკადემიის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	ქვეყნდება ყოველწლიურად

5.9	ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.10	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.11	ინფორმაცია აკადემიის მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	ქვეყნდება ყოველწლიურად
5.12	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან აკადემიისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება კვარტალურად
5.13	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან აკადემიისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ	ქვეყნდება აქტის მიმღები ორგანოს მიერ ძალაში შესვლიდან 10 დღეში
6. სამართლებრივი აქტები		
6.1	ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული აკადემიის საქმიანობასთან	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში
6.2	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, აკადემიის შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში
7. სხვა საჯარო ინფორმაცია		
7.1	აკადემიის სერვისების შესახებ ინფორმაცია	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში
7.2	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება აკადემიის მიერ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში

შენიშვნა 1. კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში, ხოლო ყოველწლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია – წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შენიშვნა 2. ბრძანებით გათვალისწინებული პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება არ ვრცელდება იმ კატეგორიის ინფორმაციაზე, რომელიც, აკადემიის შეფასებით, დაკავშირებულია იმ ინფორმაციის გაცემასთან, რომლის გაცემა შეზღუდულია მოქმედი კანონმდებლობით.

შენიშვნა 3. თუ ბრძანებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის განახლება დაკავშირებულია შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანასთან, ინფორმაცია უნდა განახლდეს ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში.